

ანოტაცია

განხილულია ტერეინის - ნაოჭა სარტყლის შემადგენელი რეგიონული მასშტაბის გეოლოგიური სხეულის შინაარსი, მისი წარმოქმნის მექანიზმი, წარმოშობისა და ტიპების კლასიფიკაციები და მათი როლი დედამიწის ქერქის ევოლუციის პროცესის მეცნიერულ გაგებაში. ტერეინი არის რეგიონული მასშტაბის გეოლოგიური სხეული ნაოჭა სარტყლის შედგენილობაში, რომელიც შემოსაზღვრულია რღვევებით და ხასიათდება საკუთარი გეოლოგიური განვითარების ისტორიით: სტრატиграფიით, მაგმატიზმით, მეტამორფიზმით და ტექტონიკით. მოტანილია კავკასიის ტერეინული დარაიონების სქემა. ნაჩვენებია, რომ თანამედროვე სტრუქტურაში, ხმელთაშუა ზღვის რეგიონში არსებული მოძრავი სარტყლის ცენტრალურ სეგმენტში იდენტიფიცირებულია 5 ტერეინი: კავკასიონის, შავი ზღვა-ცენტრალური ამიერკავკასიის, ბაიბურთ-სევანის, ანატოლიისა და ირან-ავღანეთის შედგენილი ტერეინები, რომლებიც გეოლოგიურ წარსულში წარმოდგენდა ენსიმატურ ან ენსიალურ კუნძულთა რკალებს ან მიკროკონტინენტებს. აღნიშნული ტერეინები პირველი რიგის აკრეციული ტერეინებია, რომლებიც გამოყოფილია ოფიოლიტური ნაკერებით, ე.წ. სუტურებით.